

1926



№ 8

# החיים והמחשבה



9 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45 46 47 48 49 50 51 52 53 54 55 56 57 58 59 60 61 62 63 64 65 66 67 68 69 70 71 72 73 74 75 76 77 78 79 80 81 82 83 84 85 86 87 88 89 90 91 92 93 94 95 96 97 98 99 100

## შინაარსი

გვერდი.

1. დილა—ლექსი—დ. ძაძაშიძისა . . . . .	2
2. მუშკოპის კატა—ცქვიტისა . . . . .	3
3. პატარა მონადირე—ლექსი—არ. კობახიძისა . . . . .	6
4. ორი თრითინა—თარგმანი—თევზაძისა . . . . .	10
5. ლენინელები—ლექსი—რ. გაბიჩვაძისი . . . . .	14
6. ჯეჯილის აჯანყება—დასასრული—ნ. კეცხოველისა . . . . .	15
7. ეთერი დედას—ლექსი—დ. ახველდიანისა . . . . .	22
8. ქალაქელი პიონერის წერილები—წერილი მეორე—დ. კარბელისა . . . . .	23
9. კურდღელს—ლექსი—შ. მღვიმელისა . . . . .	26
10. პურის ხე—თარგმანი მანისა . . . . .	27
ბავშვთა შემოქმედება.	
11. თევზაობა—ხ. ივრისპირელისა . . . . .	30
12. გულკეთილი გივი—თებრონე სარაშვილისა . . . . .	31
13. ჩენი ციკუნია—ენიკოსი . . . . .	32
გასართობი	
14. როგორ გავზომოთ ხის, ან რაიმე მალალი საგნის სიმაღლე დ. კორბელი	
15. ამოცანა—ნ. ძიძიგურის სახუმარო	
16. შენ შარტო ვერ გაიხდი ხალათს—ნ. ძიძიგური.	



საქართველოს  
საბჭოთაო  
კომუნისტური  
პარტია

# გნაპლონი

ნ. 22-XXII № 8 აგვისტო 1926 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქ. ა. ლ. კომკავშ. ცენტრ. კომიტ. თურნალი ბავშებისათვის.

F1980



# ფ ი ლ ა.



ისკარი ბაღში ვვაზილებს  
 ჰირს დაჭბანს ნაძვის ჰკურებით;  
 მსე რომ მათ სსივით დავარცხნის,  
 თვალი ვერ ძღება უურებით.

ფრინველთა გუნდი მხურვლით  
 უხვდება მანათობელსა,  
 და თვალის ფშენქით გოგიაც  
 ეძუდარება მშობელსა:

„ღედიკო, ჰირი დაძბანე  
 და ტანთ ჩამაცვი ძაღვო;  
 საბავშვო ბაღში მოვკურცხლავ,  
 აქ წოლით დავიღაღვო!“

მასწავლებელი მოგვითხრობს  
 ზღაპრებს, არაკებს, შაირებს.  
 დაუსტავ თევსებს და ჩიტებს,  
 ვვაზილებს ათასნაირებს.

გვიამბო, მუშაშ და კლესმა  
 თუ როგორ შეჭკრეს ერთობა,  
 და მერე როგორ დაამსეს  
 საღისის მხაკვრელთა მეფობა.

მერე ვიმღერებთ, გამფლელი  
 ვეელა ჩვენ ძღერას შეჭხარის;



დედიკო, ჩქარა ჩამოცვი:  
საბავშვო ბაღში მენქარის!

დედა ზირსა ჰბანს, თმას ვარცხნის.  
შვილი სულ ცმუკავს, ვერ იცდის;  
დედა კოვასთვის მსექვლობს,  
კოვა უვაგილობს დედისთვის.

დ. ძეძამიძე.

## მუშაკობის კაცა.

მზიანი დღეა, ხალხი ბუსებოვით ირევა, ტრამუაის რამდენიმე რიხოდა მუშაკობის წინ მატარებელივით არის კახერე-ბული.

— დედა, ჩავსხდეთ, ჩვენ ჩავსხდეთ, — ეხვეწება შალიკო დედას და თან ფეხები უკანა რჩება, დედას არ მისდევს, ებუტება.

— წამოდი, შვილო, უნდა შექარა ვიეიღოთ, წამოდი ჩქარა, — მე შენ იქ რაღაცას კიეიდი და მერე ჩავსხდეთ ტრამუაში.

— აკერ, ერთად რომ დგანან, იქ მინდა, მოდი ჩავსხდეთ, ჩავსხდეთ, — ვაიუტობს შალიკო, ფეხებს აბაკუნებს, კავახერე-ბულია.

დედა სელს ჰკიდეებს და ძალათი მიჰქავს. შალიკო ბუსდუნებს და იმნჭება.

აკერ მთელი რიგი მუშაკობის ძალასიებისა.

ფართლელი, ტკბილეულობა, ფესნაცმელების კანუოფი-ლება, აკერ სევაგილეც.

მშენიერი უვაგილები, კოსტა კალათები, მრავალხანი მცენარე და მათ შორის დაბუა, თეთრი კატაც ისე მოკალა-

თებულა, თითქოს ისიც გასაუიდად გაუმხადებიათო. ეელს ცის-ფერი ლენტი უმძვენებს და მცენარეთა შორის ისე კონტადა წის, გგონებთ, ცოცხალი კი არა, მარმარილოს ქანდაკება არისო.

თვალეები ოდნავ ჩაუტრული აქეს და შის ალერსით განახებული სთვლემს. შალიკომ მოჰკრა თვალეი კატას თუ არა, დაღრეჯილობა უმაღ სიცილიად შეცვალა...



— დედა, ფისო...

მიუიდე, დედა, მიუიდე...

შალიკო კედელივით ფართო ფანჯარას მიადგა და კატას ალერსი დაუწყო.

ფანჯრის იქიდან კატამაც თვალეები განაჭკიტა და ბავშვს კისერგადაგდებით გვერდ-

გვერდ კონტად და გაკვირვებით დაუწყო ცქერა.

— დედა, რა მწვანე თვალეები აქეს, რა კარგია!.. უხარია შალიკოს და მინახე ხელს უცაცუნებს, ეურში უნდა ხელი ჩასჭიდოს და მიუსაუვარლოს. კატა ისევ დინჯად განანგრძობს ჯდობას და, კისერმოღერებული, თითქოს ისიც უალერსებს ბავშვს.

— შესედე, დედა, შესედე, თვალეები როგორ გაუმაჯდა! შესედე, ახლა მოსუჭა და ისევ გაუშვანდა. დედა, მიუიდე! მიუიდე, კენაცვალე, დედა...

— წამოდი, შეილო, კატა გასაუიდი ხომ არ არის, წამო, ჯერ მაქარი ვიეიდოთ...

— თუ გასაუიდი არ არის, მამ ექონდა წის? გასაუიდა, მიუიდე კატა, კატა მინდა... აფშრუკუნდა ისეკ მალიკო და მალაწიანი ტირილით შეჭევა...

— კატა მინდა... კატა მიუიდე, — დრიალებს მალიკო.

დედამ მალიკო დახლთან მიუევანა.

— აბა, ბიჭო, ვკითხოთ, თუ კატა გასაუიდა.

— აგერ, ევაუილებში რომ თეთრი კატა წის, ჭეილით იმ კატას, თუ არა?

ნოქარი იცინის და მალიკოს დაევაუებით ეუბნება:

— ოჸ, მაგის გაუი-  
დვა როგორ შეიძლება,  
ეკ რომ არ იყოას, ამ  
მალაწიანს სულ ვირთა-  
კვები შეკვიწამენ.

ჩვენი დამცველი ეკ  
არის...



დეგსაც ბთი ამსჯელა  
ვირთაკვა დაიჭირა (ნოქარმა ხელით უჩვენა, რამოდენა ვირ-  
თაკვაც იყო). მალიკო განუძდა და გამტკრებით ეურება დაუწყო.  
ლაუებზე ცრემლები ჯერ კიდევ ჩამოსდის.

— მოიცა, ბიჭუნი, მენტუის ჩვენ უფრო კარგი და ლამა-  
ზი კატები გჟაუეს... დამაცადე ბატარა...

ნოქარი გატრიალდა და დიდი კოლოფი მოიტანა და ამო-  
უწყო ათასნაირი ფრინველები და ცხოველები.

— აბა, დახედე, რა მშვენიერი კურდღელია, აი, ეს კი-  
დეკ ბატა, აი, კაციც... ესეც მუნი კატა... დახედე, სულ მამ-

რის ბეწვები აურია, — ალერსით ესაუბრება ნოქარი და სამ-  
ცხვრებისაგან გაკეთებულ ცხოველებს შალიკოს წინ უღაბებს.

შალიკოს სისარულით სახე უნათდება...

— მივიდე, დედა, მივიდე, გენაცვალე, — ეხვეწება დედას შა-  
ლიკო და თან თვალები უშტერდება. უკვე ოცნებობს იმაზე,  
რომ უკვლავ აძას შინ წაიღებს. ზატარა აივანსე ცხვრის  
ფარას გაშლის, გვერდით კუდმოკაუჭებულ ძაღლს მოუყენებს  
უარზუადად, შეცხვარეს კი ძაღლობზე დაუყენებს, ვითომ შთი-  
დან თავის ცხვარს თვალუურს ადევნებს.

კატას? კატასა რას უხამს?

კატას კუთხეში დაუყენებს და თუ იმან თავი ვერ დაიჭი-  
რა, მაშინ კატად შალიკო გახდება და ერთ წამს უღაბანს გაა-  
დენს.

ასე ფიქრობს შალიკო და თეთრი ზარკით ხელში შინი-  
საკენ წყნარად მიაბიჯებს.

ცპობი.

## პატარა მონაწილე



როსველ ვანომ მხარსე იკლა  
მაშინ თოფი სახადირო  
და სოქვა გულში: წავალ ტყეში,  
საქმე უნდა ვქნა საგმირო!..

\* \* \*

ღულა ტყეით გამოტენა,  
ზედ ფაღია დაბურა,



და მინარე მურიკები  
 ფეხსე მარდად წამოუარა...

\*  
 \* \*

მურიები არ მისდევდენ,  
 ვანომ ძალით წაიუვანა:  
 ქორას თოკი გამოაბა,  
 ბროლა სელში აიუვანა.

\*  
 \* \*



ცოტა ზური შეაქმა,  
 ზირში ნერწყვი მოადინა  
 და თაჯისოჯის ეშმაკურად  
 გულში ხშირად ჩაიცინა:

\*  
 \* \*

სად წამიხვდით, თქვე წუწკებო!  
 სელში შევხართ დაჭერილი...

ვუფიქრობ, — ჩემთან ვირსუფნიათ,  
ვიდრე მსეხე სრუკვა-ძილი.

\*  
\* \*

მშვიდად მოხსნა ქორსს თოკი,  
ბროლაც დასვა მიწასკდა;  
ძაღლებს ტეჟი იტეჟებდა,  
ბურს უჭრიდა სედისედა...

\*  
\* \*

ვანო დინჯად მიდიოდა,  
უდიმოდა ვმირსა ზირი  
და ამჟუად ბუტბუტებდა:  
უნდა მოჰკვლა მე ნადირი!

\*  
\* \*

ასე ხვენი ვმირთა ვმირი,  
გართობილი ოცნებითა,  
ვერს ვრძნობდა მხატვ ჩანთას,  
წინეთ მძიმეს ბურებითა.

\*  
\* \*

რაც რომ ჰქონდა ვანოს ბური,  
გსასე ძაღლებს შეაჭამა.  
და რა მისვდა თვის შეცდომას,  
მეტის-მეტად არ იამა.

\*  
\* \*

მიისედა... რასა სედავს!!  
მიჭქრის ქორა დაოთხილი,

უკან ვეფით მისდევს ბროლა  
 ზურგზე კუდგადაბსეკილი!

\*  
 \*

გაკვიბრახდა მონადირე,  
 მოიძარჯვა თოფი წამსვე;  
 დაუძინა, ბუჭ! გააგდო,  
 მავრამ უკან დაკრა ძალსვე.

\*  
 \*

ვანომ მართო აქ ბღაუილი,  
 მიძინაჯან ენა ენა,  
 თოფი იქვე მიატოვა  
 და მოკურცხლა მინისკენა!...

არ. კობახიძე.



# მზი თრითინა.

I

ზაფხულს გერმანიის ძველ ქალაქ ლაუფენბურგში ვატარებდით და ვტკებოდით შვარცვალდის ტყეებისა და მთების სილამაზით. ერთხელ ჩვენთან მოვიდა სახნავე-სათესი აგარაკის პატრონის ვაჟი და გვთხოვა გვეყიდა მისგან ერთი თრითინა. ეს თრითინა ჯერ კიდევ პატარა იყო, ევროპული ჯიშის, ბეწვი ჰქონდა ღია ნაცრის ფერი, ყურები და კუდი თითქმის შავი. ჯერ შეგონა, რომ ბაეშმა მომატყულია და თრითინის მაგივრად ვირთავა მომყიდა მეთქი, მაგრამ როცა კარგად დავეუკვირდი და ვაფსინჯე მისი მარდი და მოქნილი თათები, რომლებიც ადამიანის ხელს მოგაგონებდათ და მისი შავი კუდი ლამაზად იკლავებოდა, მაშინ კი დაერწმუნდი, რომ მე თრითინა ვიყიდე.

მე დავარქვი მას „ბილლი“.



ბილლი ძლიერ დამიმეგობრდა და სჩანდა, რომ მას არ აწუხებდა თავისი მდგომარეობა, რომ ის ცხოვრობდა ოთახში და არა ტყეში.





საერთოდ ცხოველები ძნელად ურიგდებიან თავიანთ ტყვეობას და თავისუფლებას ცდილობენ. ბილლი ძლიერ შეჩვეული იყო კარჩავეტილ ცხოვრებას. ის დილა-ადრიან მოვიდოდა ჩემთან თავისი ზვედრი პურისა და რძის მისაღებად. პირველი დღიდანვე შეეჩვია ჩემ ჯიბეში ჩაძვრომას, ეძინა იქ მთელი საათობით და სიამოვნებდა, როდესაც მე ვეაღერებოდი. საერთოდ ბილლი იქცეოდა ისე, თითქოს ჩემთან ერთად ერთ ჭერს ჭყეშ იყო დაბადებული. სიფაქიზით თრითინას ვერც ერთი ცხოველი ვერ შეედრება. ბილლიმ მალე მიატოვა თავისი კალათი, რომელიც აკენის მოვალეობას ასრულებდა, ამოცოცდებოდა ჩემთან ლოგინზე, დადებდა თავს ლოგინზე და ასე სძინავდა ტკბილად. მან არ იცოდა, თუ რა იყო ვალია. მხოლოდ როდესაც ავარაკიდან ვბრუნდებოდით, ვუყიდვთ ვალია, მაგრამ იმით მას თითქმის არც უსარგებლია. რადგანაც სულ ერთთავედ ჩემს ჯიბეში ეძინა. სადაც წავიდოდით, ჩემს ბილლის თან ჯიბით ვატარებდი. როცა სასადილოდ წავიდოდით სასტუმროში და მოვეუსხდებოდით საერთო მაგიდას, დაუძახებდი ბილლის და ისიც მზიარულად ამოხტებოდა ჯიბიდან. დაჯდებოდა მაგიდის კუთხეში და ისე ლამაზად და კობტად შეექცეოდა პურის ნატეხებს, რომ იქ მყოფი ბავშვების მზიარულებას, სიცილოს და ტაშის ცემას საზღვარი არ ჰქონდა. ასე ვმოგზაურობდით ერთად. ბილლი მეც ძლიერ შემეყვარდა და მზად ვიყავ



26

ყველა მისი მოთხოვნილებები დამეკმაყოფილებია, მაგალითად: მას ძლიერ უყვარდა თფილი და ტკბილი ჩაი, არც მე ვუშლიდი, ხოლო ამავე დროს მავიწყდებოდა, რომ ეს ჩაი მისთვის შეტად მავნებელი იყო. ის თავისუფლად დახტოდა ჩემს ოთახში. მისი საყვარელი ადგილი იყო ჩემი საწერი მაგიდა. როცა ბილლი წამოიზარდა და შეეძლო კაკლისა და თბილის ქაშა, მას უყვარდა მარაგის შენახვა წიგნებში და შემდეგ, თითქო ბავშაო, ისე დაუწყებდა ძებნასა და თამაშს. ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ ჩემი საწერი მანქანა აღარ სწერდა და, როცა გავსინჯავდი, აღმოჩნდებოდა, რომ ლითონის ასოებს შორის ბილლის თბილი დაემალა. როდესაც ასე თამაში მომეზრდებოდა, ის დაჯდებოდა სკამზე და იწყებდა

თავის ქნევას. ამით ის მანიშნებდა, რომ ან ჯიბეში ან და იატაკზე დამესვა. მალე მან გამოიგონა ისეთი ნიშნები, რომელთა საშუალებითაც მაცნობებდა თავის სურვილებს: ხან საქმელს, ხან ძილს, ხან კიდევ კარადის თავზე დასმას მთხოვდა და სხვა. როდესაც მივცემდი მთელს, გაუტებელ კაპალს, უკანვე დამაბრუნებდა და მთხოვდა მე გამეტება. ყოველ მის მოთხოვნას ვასრულებდი, რაც მისთვის კარგი არ იყო და მეც შემდგომ ბევრი ტანჯვა ვიგემე.

ჩემი ბილისათვის მინდოდა ამხანაგი და ყველას ვავალებდი ჩემთვის შეეძინათ თრითინა.

ერთხელ შემატყობინეს, მდინარე რეინის შეორე ნაპირზე არის გასაყიდი თრითინაო: ავდემე და ჩემი ვაჟი გავგზავნე საყიდლად. ის თრითინა ორი თვით ბილზე უფროსი იყო და ვერ შეეჩვია კარჩაკეტულ ცხოვრებას. ახალი თრითინა ნამდვილი მოწითანო ფერისა იყო. ჯაჭვის ნაგლეჯი კიდევ დარჩენოდა ყელზე. მე საერთოდ არ შემძძოია ავიტანო, როცა ცოცხალი არსება ჯაჭვითა ჰყავთ დამბული და გადაეწყვიტე მისგან გამეთავისუფლებია. მე დიდი სიძნელით გადაეხერხე ეს საყულო და გავუშვი თრითინა მის ნებაზე, რომ თავისუფლად ერბინა ოთახში. ძალაუნებურად უნდა დამეგობრებოდა ჩემს ბილისს. მე მეტრალეგობდა ეს ნახევრად ველური ცხოველი და ეფიქრობდი გამეთავისუფლებია, მასთან მაგონდებოდა ის, რომ მე ამით მას არავითარ საარგებლობას არ მოვუტანდი. უკვე მიჩვეული იყო ადამიანის ხელიდან საქმლის აღებას და ძალიან ადვილად ჩაუფარდებოდა ვინმე სოფელზე ბავშს, რომელიც მას სულ ადვილად დაიკერდა და მასთან, ის ჯერ კიდევ ძლიერ პატარა იყო და უდევოდ გაძლება არ შეეძლო. დავუფიქრდი რა ყველაფერს, გადაეწყვიტე დამეტოვებია და აშეზარდა ისე, როგორც ჩემი ბილი. სახელად დავარქვი „ხანსი“. მალე ორივე თრითინა დამეგობრდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო მათი ბუნებისათვის. მათი ბუნება კი ძლიერ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ბილი იყო საზოგადოებრივი, როგორც პატარა ძაღლი, ხანსი კი განირჩეოდა გულსივობით და ადამიანთა დაახლოება არ უყვარდა. ბილი ყოველთვის დაუწყებდა თავის ამხანაგს თამაშს, მაგრამ ის სრული გულგრილობით უპასუხებდა. ისე გამოდიოდა, თითქმის ბილი მთელი ოჯახის საყვარელი იყო და ხანსი, როგორც უფროსი ძმა, არ უთმობდა მას. ბილი აუცილებელივე გამოიგონებდა რაიმე სასაცილოს, მას უყვარდა ხანსის წვალება. როდესაც ხანსს ეძინა, დაუწყებდა კბენას ან ფეხებზე, ან ყურებზე, ან მძინარეს დაეცემოდა და დაუწყებდა წვალებას ხანსიც ბრაზმორთული დაიწყებდა რაღაც ბუტბუტს, ბო-

ლოს ადგებოდა, მოცილდებოდა ცელქ ბილლის დაწაფილდა მეორე კუთხეში.

ბილლიც და ხანსიც ჩემს საწოლ ოთახში ცხოვრობდნენ თავიანთ ნებაზე. მაგრამ კარები იხურებოდა, რადგან ხანსი ყოველთვის ეძებდა შემთხვევას, რათა გაქცეულიყო სადმე უცხო ქვეყანაში. ხანსმა თანდათან შეითვისა ბილლის ზნე-ჩვეულებანი: აცოცდებოდა, როგორც ბილლი, საწოლზე და დაიძინებდა ბალიშზე მის გვერდით. ბილლი გაიღვიძებდა და როცა დაინახავდა მის გვერდში მწოლარე ხანსს, დაუწყებდა წვალებას და ხანსიც იძულებული ხდებოდა დაეტოვებია თავისი ადგილი და საწოლის მეორე ბოლოში წასულიყო. მაგრამ, როგორც კი ბილლი დაიძინებდა, ხანსიც უბრუნდებოდა ძველ ადგილს. მიეცემილი თუ არა ხანსს თხილს, ბილლი უტდიდა, სანამ ის გასტეხდა ამ თხილს და გულს წაართმევდა ხოლმე. პირველად ხანსი ბრაზდებოდა, მაგრამ მალე შეეჩვია ბილლის სიცელქეს და, როგორც ჩვენ, ისე ისიც უთმობდა.



დ. გ.

ძალიან სკინტერესო იყო თვალყური გედევნებითა ორივესათვის და აგეწერათ იმათი ზნე-ჩვეულებანი. როგორც უკვე ვთქვით, განსხვავება მათ შორის მეტად თვალსაჩინო იყო. მაშინ, როდესაც ბილლის მუდამ აღერსი უყვარდა, ხანსს, განსაკუთრებით პირველ ხანებში, თითქმის ეზიზღებოდა, როდესაც მას ადამიანის ხელი შეეხებოდა. ევროპული ჯიშის თრითინა თავისი ბუნების მიხედვით ძლიერ მშვიშარა ცხოველია. თრითინა უფრო მშვიშარაა, ვიდრე გარეული თბა ანუ ლიკლიკა და უფრო გამბედავია შორეულ ნათესავზე, ამერიკული ჯიშის მფრინავ თრითინაზე, რომელიც ყოველ ცხოველზე, რაც ამ ქვეყნიერებაზე მოიპოება, მშვიშარა არის. როდესაც თრითინას შეეშინდება, ის მზად არის დაუკბინოს ხელები, ვინც უნდა იყოს. მისთვის სულ ერთია, თუნდაც მისი პატრონი იყოს, რომელთანაც ის შეჩვეულია.

ხანსი თავის ახალ ცხოვრებას ვერ შეეჩვია და ყოველთვის ცდილობდა როგორმე მოეხერხებია გაპარვა. ძლიერ მცოდნებოდა ის, მაგრამ მოგზაურობის დროს იძულებული ვხდებოდი გალიაში. ჩამსვდა მე მოხელეს შემფუკვეთე — განსაკუთრებული მათულებისაგან გაეკეთებია დიდი გალია. ზედა ნაწილს გალიისას შემოავახვიე მაუდი და მოვაწყვე შიგორი ბუდე ორივე თრითინასათვის.

პირველი მოგზაურობის დროს, როცა ეტლი და მატარებელი ირბოდა, ეს შიშის ზარს სცემდა ხანსს. ის ძლიერ შფოთავდა თავის გალიაში და გაბრუნებული, მოთენთილი დაეგდებოდა კუთხეში.



## ლენინელეგი.

ვენ ვართ ჰატარა ლენინელები,  
 ხელში გვიჭირავს დროშა წითელი,  
 მოვდივართ შუობრად, მოვიძღვრებართ,  
 სადაც გვიჩვენებს ილიჩის ხელი.  
 იმის ახდერძით და ზეენ მსვლელობით  
 მთლად შემოვივლით მსოფლიოს მთელსა,  
 და მსოფლოდ მაშინ მიუკდუნით საღამს.  
 ჩაგრული მისცემს დაჩაგრულს ხელსა.

რ. გაბიჩაძე.



## ჯეჯილის წაჯანყება.

მე-II მოქმედება.

აგრონომის კაბინეტი. კედელზე შესაფერი სურათები და პლაკატები. „სარეველი მცენარე ხალხის უდიდესი მტერია“. „მოსმეთ სარეველი მცენარე“. „ყველაზე დიდ ხარჯს ჩვენი გლეხი სარეველებს აძლევს“. კუთხეში და ნაწილობრივ კედელზე სხვადასხვა იარაღი. ოთახში აგრონომი და თანაშემწეა. აგრონომი წიგნებს ფურცლავს, თანაშემწე კი ანალიზს აკეთებს.

**თანაშემწე.** რა ხარჯიანი პურია, რამოდენი სარეველის თესლი და ნაყოფი ურევია, თითქმის ნახევარია (შმაშა გულის წუხადი ეტუობა).

**აგრონომი.** (შაფა თანაშემწესთან და ათვალაურებს ანალიზის შედეგს) მართლაც და რა ხარჯიანია, საშინელებაა პირდაპირ...

**თანაშემწე.** რა ჰქნას საბრალო მიწისმუშამ, ასეთი მოსავლით როგორ გაუძღვს ქვეყანას და ცოლშვილს?

**აგრონომი.** ვერც გაუძღვება, თუ არ ვასწავლით, თუ ნათლად არ დავანახევთ მისი მტერი...



**თანაშემწე.** ეჰ, არც მგვისი მჯერა რამე. აი, ოთხიოდ დღეა აქა ვართ და ჯერ კარი არავის შემოუღია, არამცთუ იარაღი არ წაუღია, არამედ რჩევაც კი არ უთხოვნია...

**აგრონომი.** (ეგანება) ეგრე რომ იყოს საქმე, რომ თვითონ მოდიოდნენ, სიკოცხლე გაქვს, კარგია, მაგრამ ჯერ სადაა მაგდენი შეგნება... ჩვენ თვით უნდა მივიდეთ. ჩვენ უნდა სათითაოდ მოვიკიდოთ ხელი ყველის და ისე დავატანოთ ძალა...

**თანაშემწე.** სად შევძლებთ მაგდენ შრომას?

**აგრონომი.** უნდა შევძლოთ. დღეს მოვათაოთ ყოველივე შინაური საქმე და ხვალიდან კი...

(გარედან ისმის: „აგრონომის სახლი ხომ არ იღია? ეს არის?“)

**აგრონომი.** აგერ, უკვე ვილაკ გეკითხულობს.

(გაიღება კარები და შემადიან ვახტანგ და ილიკო. უკან მოკრძალებით შემოჭეუება ჟუჯილი. აგრონომი და თანაშემწე გაკვირვებული უნქარიან)

**ილიკო.** უკაცრავად, აგრონომი თქვენა ბრძანდებით? (უნქარის ხანკრთს, ხან შესარეს)

**აგრონომი.** დიახ, ბრძანეთ, რაზე გარჯილხართ, რა გაგკირებიათ.

**ვახტანგ და ილი.** გაკირვება ბევრია, მაგრამ ჯერჯერობით ჯეჯილის დავალებით მოვედით...

**აგრონომი.** ჯეჯილის დავალებით?! (გაკვირვებულია) რას გავალებთ ჯეჯილი, განა?

**ილიკო.** დიახ, სწორედ ჯეჯილის დავალებით და თხოვნით.

**აგრონომი.** ბრძანეთ, ბრძანეთ...

**ვახტანგი.** ჯეჯილი უჩივის თავის პატრონ ზაქარია ოროველაშვილს, აი, მათი საჩივარიც (გადაწოდებენ ქაღალდს. ჟუჯილის დერაბები საამოყენებას ნიშნად ახალ შეკაბრებს მხარზე ზღვს სეგმენ და უდაიანს)

**აგრონომი.** (ათვადიერებს ქაღალდს, ილიშება და მიმართავს თანაშემწეს) დამიძახე ზაქარია ოროველაშვილს. (თანაშემწე გადის). ყოჩაღ, ბიჭებო, ყოჩაღ... (მიმართავს ზაინურებს და ბოლომდე კითხულობს საჩივარს) კარგი საქმე დაგიწყიათ...

**ჯეჯილი** ეტყობა, ჩენსკენ არის, იქნება გვეშველოს რამე... (შემოდის ზაქარია ოროველაშვიდი, მოსდევენ გლეხები, სოფლის სკოლის მოწაღენი და პატარა ბავშვები. (ზაქარია, ჟუჯილს რომ დაინახავს, შეკრთება).

**ზაქარია.** თქვენ აქ რა გინდათ? რათ მოსულხართ? ოღოშღერობის მაგიერად თქვენ გარე-გარე დასერილობთ? (ჯუჯილის წარმომადგენლები უკან იხევენ).

**მოწაფენი.** (ერთად) ჩვენ მოვიყვანეთ, შენ გიჩივით...

**აგრონომი.** ზაქარია ოროველაშვილო, ჯეჯილი გიჩივის.

**ზაქარია.** (გავეარგებულა) მიჩივის სადაურია, რა აქვს საჩივლელი, დროზე არ დაეთეს თუ რაა, თან კაბლოც გადავტარე, პაპის ნაქონი.

**ილიკო.** (აგრონომს) ვთხოვთ წიკითხოთ საჩივარი. (ზაქარიას) ჩვენც მაგას გიჩივით, რომ მამაპაპეულ იარაღს თავს არ ანებებ და მავის გამო კი მოსავალი გივერანდება.

**აგრონომი.** (კათხელაბს საჩივარს).

„ჩვენ, ჩაკდულა მიწის მცხოვრები ჯეჯილი, ვუჩივით ზაქარია ოროველაშვილს შემდეგს:

ჩვენ მრავალ წელთა განმავლობაში ვემსახურებოდით სინდისიერად, მოსავალს დროზე ვაძლევდით, მაგრამ ჩვენი პატრონი თავის მოვალეობას არ ასრულებდა“...

**ზაქარია.** ეგ კი ტყუილია, დროზე ვფარცხავდი, დროზე ვთესავდი და სხვა რაღა უნდათ? (ჯეჯილთ მწარედ კვინებდა და ხელათ აწვენებენ, რას ამბობთ!)

**აგრონომი.** (განავრძობს) პირველი: თესლი მინდორში დაურკვეველი გაქონდა, ჩვენთან ერთად სთესავდა ყოველგვარი სარეველის თესლს.

**ზაქარია.** ეგ მართალია, მაგრამ ვის გაუგონია თესლის დარკვევა? როგორც მამა-პაპა სთესდა, ისე ვთეს, გაგეგონებთ „ნუ დაქარგავ ძველსა გზასო,“ მეც ასე ვიქცევი.

**ვახტანგი.** ეგ ტყუილი უთქვამთ, ძველი გზა ყველაფერში დაეტრევთ, ყველაფერში, მაგრამ ყური უგდებ: თუ ძველ გზას არ დასტოვებ, პურიც მოსავალს არ მოგცემს...

**ჯეჯილი.** (გახარებულნი) მაშ, მაშ...

**აგრონომი.** (განავრძობს)

„მეორე: ხნულს სარეველი მცენარის მიწისქვეშა ნაწილები-საგან არ ასუფთავებდა, ამის გამო ხნულში რჩებოდა ალავერდა, ქანგა, შალაფა და ყველა მრავალწლოვანი მცენარე... მესამე: ვახუფულზე არ მარგლიდა ყანას.

„მეოთხე: ერთსადიამავე მიწაზე მუდამწვლს პურსა სთესავს. სათოხნი მცენარე არ შემოაქვს და სხვა მრავალი ასეთი დაუდევრობის გამო შემოგვისია სარეველები და მძელი საზრდო მათ მიაქვთ, გვჩრდილავენ, მზის სხივს ჩვენსკენ არ უშვებენ. ჩვენ კი, მოსავალი რომ მოგცეთ, გვჭირდება: სითბო, სინათლე, საზრდო...“





გთხოვთ, აიძულოთ ჩვენი პატრონი, რომ მოგვიაროს, როგორც წესი წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოსავლის მიცემაზე უარს ვაცხადებთ.

საჩივრის კითხვის დროს ჟეჯიდის ღეროება თავს აქნევენ და ადასტურებენ ნაწერს.

**აგრონომი.** მართლა ასე იქცევი?

**ზაქარია.** მართალია, მაგრამ წესად რომ არა გვაქვს მიწის გაწმენდა, მე რა ვქნა.

**მოსწაფენი.** ბევრი არ გვქონდა წესად, ახლა შემოვიღეთ, ესეც უნდა წესად ვაქციოთ. (შეუბრუნდებიან ბავშვებს-ტოლებს) ხომ მართალია, ძმებო, სარგველი ხომ ჩვენი მტერია, გლეხის მარჯვენის?

**მოწ. და ბავშვ.** (ერთმანად, შხაარუდად) მართალია, მართალი...

**ვახტ. და ილიკ.** ხომ ჩვენთან ერთად წამოხვალთ, რომ შევებრძოლოთ ჩვენს მტერს? თუ არ მოესპობთ, საზამთროდ საზრდო არ გვექნება...

**ჯეჯილი.** მაშ, მაშ... ჩვენ ისე ვერ მოვალთ.

**ბავშვები.** შიშშილით დავიხოცებით, რომ პური არ მოგვივიდეს... (ბავშვებს ცრემლი ადგებათ თვალებზე, ქაღალდან მოსული მოწაფენა ბათნურები მიუღვენ და აშშაადებენ)

**ილიკო.** ნუ ტირით, ნუ.! (ბავშვებს) თუ ზაქარია თავისი უცოდინარობით და სიღარიბით ვეო მარგლის, წავიდეთ, ჩვენ გაემარგლოთ.

**ვახტანგ.** მაშინ ნახავს, რომ მართლები ჩვენა ვყოფილვართ...

**აგრონომი.** ზაქრო, ნუთუ პატარებმა უნდა გაჯობონ? ხომ იცი, ეგენი მართლები არიან...

**ზაქარია.** ვხედავ, რომ მართლები არიან, მაგრამ რა ვქნა მარტახელმა კაცმა. (თავს ჩაჭკიდებს დაღონებულად).

**ვახტანგ. და ილიკო.** ჩვენ შენთან ვართ, დაგებმარებით, გიშველით. ხალხის საშველად მარად მზად ვართ...

**ბავშვები.** ჩვენც, ჩვენც...

**აგრონომი.** ყოველ იარაღს კი მე მოგცემთ: კბილებიან ფარცხს, სარკვევ მანქანას, სათესს და სხვას...

**ვახტანგ.** ახლავ წავიდეთ (გლეხებისაკენ) თქვენც ხომ წამოხვალთ, გაემარგლოთ ზაქარას ყანა.

**I გლეხი.** ისეთი ბიჭები ხართ, უარს ვერ გეტყვი, წამოვალთ.

**გლეხები.** წამოვალთ, წამოვალთ.



**ჯეჯილი.** ხალხიც თანახმაა, გვეშველება. (სიხარულით ნაშუავენ). ვახ. და ილიკო. აბა, წავიდეთ, ხალხო, წავიდეთ.

**ჯეჯილი.** (აწვე ერთად) ნუ გვიანდებით, წავიდეთ, ყოველი წუთი ჩვენთვის ძვირფასია. რაც მალე მოვსპობთ, უფრო კარგია; მეტი საზრდო დარჩება ხნულში და ჩვენც მეტ მოსავალს მოგვცემთ...

**ზაქარია.** (უხარა) თქვენი ბარკის ჭირიმე... წავიდეთ, წავიდეთ... (კადიან ვეიღა-ხეიღით, სიხარულით. გარედან ისმის აგრონომის სმა; კებალებიანი ფარცხი წავიდეთ, მეც სულ თქვენთან ვაქნება... ისმის მუშურა სამღერა:

„სიმინდსა თოხნა დავუწყეთ,

ერთხმად დავძახეთ მუშური,

იქნებ მაშინ დაგვევიწყდეს,

რომ გლენნი ვართ უბედური,

ბიჭებო“ . (ან სხვა შესაფერა სამღერა)

### III მოქმედება

ზარეული მოქმედების სურათი. სარეველი მგენარეები მხარ-თქობზე წამოწოლიდან და ნებავრობენ. სისქე მომატებულია. კმაუთფილებით სავსე სახით საუბრობენ. შათი გამარჯვება ვარჯიშით გამოიხატება.

**თეთრი ნარი.** ძალიან არ მოვიცილებთ თავიდან, მათი ჰაკანებაც აღარსად არის.

**ძალღნიორა.** (კმაუთფილებით მუგელზე ხელს ისვამს) აბა, ისინი ჩვენ როგორ წამოგვედავებოდენ? (იღინის).

**ღვარძლი.** იცინის ის, ვინც ბოლოს გაიცინებს. ვგრძნობ, რომ ხერი არ დაგეყრებათ!

**ჰანგა.** ღვარძლი ხომ თავისას არ დაიშლის, თავის მწარე ენას არ დააყენებს (სხეება თანხმობის ნაშნად თავს უქნევს და ღვარძლს აღმატვრად უუარებენ).

**ღვარძლი.** მამლისა არ იყოს, მე მიყვილია და გათენდება თუ არა, ამას აღარ დავდევო. და მეც ვამბობ, და დანარჩენი თქვენ იცით...

**თერო.** იცით, რა ვითხრათ? ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით. ერთმანეთს ვმტრობთ... ეს არ გამოგვადგება... ჩვენ რომ ერთმანეთს დავერიოთ, მაშინ ჯეჯილიც დაგვეჯანის. ყინაში რომ ვართ, მზარი მზარს უნდა მივცეთ, ერთმანეთის შულს და მტრობას თავი უნდა დავანებოთ.

**თეთრი წარი.** (ამაჟდ) თქვენთან მეგობრადაც რომ არ ვიყო, მაინც მარტო ვაფუქლავდები. მე სარეველებში მეფე ვარ, მბრძანებელი... (თვადებს დაბნადაქის).

**გარეული შვრია.** უკაცრავად ბრძანდები, პირველობას ვერ დაგი-  
 თმობ, ჩემზე ძლიერ არც შენა ხარ გავრცელებული. მე ყანას ისე მოვე-  
 დები ხოლმე, რომ გლეხიკაცი რომ მინდოროში გამოდის, გულგახეთ-  
 ქილი ამბობს: „ყანა გარეულ შვრიად გადამეჭკაო“. ის კი არ იცის, რომ  
 ყანა კი არ გადიქცა შვრიად, მე დაეზაგრე, ჩაეკალი და მისი ადგილი  
 დავიჭირე. შენ რას შერები ამის მსგავსს? პირველობა შენ დაგიტმო,  
 სად ვაგონილა!

**თეთრი ნარი.** თუ ბიჭი ხარ და ნუ დამითმობ, ხშირად ფესვიდან  
 60 და 100 ნაბარტყი ამომაქვს.

**გარეული შვრია.** სთქვა ირაკი შენ თუ ფესვიდან ამოგაქვს, მე  
 500 მარცვალ თესლს ვიკეთებ, ჩემი თესლი თხუთმეტი წელი სძლებს,  
 მიწაშიც რომ ეგდოს... შენი თესლი კი დამწიფებამდე თეთრი მატლის-  
 გან ჩანაგდება, ასიდან ერთი თუ შვეგრჩება სალი...

(თეთრი ნარა წარბეზს შეკრავს, ეტეობა, არ ესამიფნება, მრისხანედ გადა-  
 ხედავს გარეულ შვრიას. მათა დაპარაკის დროს სარეველები ხან იცინიან, ხან  
 უგუშოფიდაოდ უტყპრიან მოსაუბრეთ...)

**ლილილო.** თეთრო ნარო! მართალია, წელან რომ სთქვი, შენი თეს-  
 ლი ჩემსას ჰგავს, მასაც აქვს საფრენები, მაგრამ ეგ მატლი რომ ვერ მოი-  
 ცილე თავიდან, რაშია საქმე, შვანი, ეგ ღიდი დამხმარეა ჯეჯილის...  
 შენი არსებობა ხომ...

**თეთრი ნარი.** (გაჯავრებულია) დამანებე თავი, შე მაქატა, შენა... დამა-  
 ცადეთ, ყველას გაჩენებთ სიორს, ყველას ვაგყრით აქედან და მე დავი-  
 ტოვებ ამ მინდვრებს! (შეუტევეს კადეც, თურო უკან დაიხევეს; სხვები თავს  
 აქნევენ: „არც გერეა საქმეთ...“)

**ქანგა.** (გულმეგრად) თავს ნუ გახვედი, მე რალა პასუხს მაძლევ,  
 ნუთუ მეც ვგრე ადვილად გამდევნი? ხომ იცი, ჩემი ფესვი შენსაზე  
 უფრო მაგარია, მე მას შუაზე გადაეჭრი...

**ხვარტქლა.** კარგით, ძმებო, კარგით... ნუ ედაობთ, აქ ყველას გვე-  
 ყოფა საზრდო, ზოგი მიწაზე ვართ ვართხმული, ზოგი პურზე მაღლა  
 ამოვდივართ, ზოგი ყლორტს ვეხვევით და ერთმანეთს ვიჭერთ... ერთი  
 სიტყვით, უერთმანეთოდ ბევრს ვერას ვაეყეთებთ...

**შვრია.** ეგეც მართალია... ქიოტავ, რას იტყვიტები, რა იყო?

**ქიოტა.** (რომელად გაშტერებთ იტყარება აღმოსაუფეთისაკენ, შეკრთება  
 და წამოიძახებს) ვილაკანი მოდიან, პირდაპირ აქეთ, ბევრი, მრავალი...

(ეკელანა წამოფევალებიან და აღმოსაუფეთისაკენ იტყარებთან, ერთმანეთს  
 არ ავდან).

**თეთრი ნარი.** ხედავთ, გაქცეული ჯეჯილი წინ მოდის (შეშინებული შეხედავს ჭანგას).

**ჭანგა.** რა ვქნა, როგორ ამოყად უჭირავთ თავი!

**ლილილო.** ის ბიჭებიც, აქ რომ იყვნენ!

**ღვარძლი.** გითხარით, არ დამიჯერეთ... ნახეთ თქვენი ამბავი. მე კი ხნულში ჩავიმალეები და... (იმალება).

(სარეველთა ჯგუფი შემოთადება, თავგზას ვეღარ იკრებენ, არიციან, სა-  
ით წავაიქნენ... სიმღერა ახლოვდება... შემოგვივებთაან ჟვეჯილის მხარულთა  
თავდაცვით.)

**ჯეჯილი.** რატომ აღარ მღერით? ჩავიწყდით ხმა? აბა, ახლა ჩვენ ვუყურებთ თქვენ სიერს. (წამოუჩრებენ და თავში უჩაკუნებენ).

**ჭანგა.** (გაოცებულია) ეს რა ამბავია, ჩვენი მონები თავში გვიჩაკუნებენ!!!

**ალავერდა.** ველარაფერი გამიგია!!!

(დაიანკეიან, ამ დროს შემოგვივებთაან მოწაყენი კბილებიანი ფარცხათ. მათ შემოქვეება ხაღხა, ზაქარია, ატონთონი. დაივლიან ხნულს და სარეველთა ატონთონს, ჰბლავენ ძირიან-ფესვიანად. სარეველები ევდრებთაან, ეხვეწებთაან).

**სარეველები.** გვიშეღეთ, გვაბატივეთ...

**ჯეჯილი.** თქვენ იცოდით შებრალება? საზრდოს პირიდან გვატლიდით, არ გვეტლიდით, პირნათლად შეგვესრულებთა მოვალეობა...

**სარეველები.** შევცდით... შევცდით... ვცდებოდით...

(ხაღხა კა შათ ერთად ატონთონს).

**ილიკო.** ერთად მოეგროვით და რა ვუყოთ?

**ხმები.** დავწვათ, დავწვათ.

(გერხლს უკიდებენ).

**ჯეჯილი.** (სიხარულით) ახლა ჩვენც ყოველთვის კარგ მოსაივლს მოგცემთ. ბელელს გაგიყვებთ, ბარაქას არ გამოგიღვეთ...

**ზაქარია.** არ ვიცოდი, თუ ასე აღვილი იყო ეს საქმე! ამის შემდეგ დროზე გავაკეთებ ყველაფერს, ხნულსაც გავეწმინდ, თესლსაც დავარკვევ, ყანისაც გავმარგლი.

**ხალხი.** ჩვენც, ჩვენც!

ჟვეჯილის ღეროება სიხარულისაგან გვევკენ და ხტუნავენ, ზაქარია მხარულად უმზერს. ამ დროს მონაწილენი ყანაში ნამარგლს ხელს დასტაცებენ და გადმოვლენ მაყურებლებში, ურიგებენ სხვადასხვა სარეველებს და უხსნიან: ეს „ჭანგა“, ეს „ლილილო“, „ღვარძლი“, „სიოტა“, „კვართქლა“, და ასე. სტენაზე გადმოვდება ატონთონი.



ამ დროს სტენაზე ცოცხალი სურათია. მიწაზე დამსობილი სარკველი მტენარები სუფს დაფუკენ. ზევიდან კი ზარმცინარი თავთაუები, ამაუნი და ბედნიერნი, დასტკერაან. შორიასლო ზაქარია მხარულად ხელებს იფშენეს და შექხარის ჯეჯილს.

**აგრონომი.** მოწაფენო! (მოწაფენი შებრუნდება მისკენ) ხალხის დისახმარებლად, სარეველებთან საბრძოლველად იყავით მზად.

**მოწაფენი.** (ერთხმად) მუდამ მზად ვართ!

ფ ა რ დ ა .

6. კაცხოველი.



## ეთერი დედას.

ედეკონა, რომ ირთუები,  
 სად მიდისარ მითხარ ძაღე.

— სად მივალ და სანთავგის  
 საუიდელად, კენაცვალე...

— გახსოვს, დედი, რომ შემწირდი  
 კიუიდიო დედოფლას?

აი, დიდს, დიდს, ამოტელას,  
 ღოუაწითელს და შავთვალას...

ოცი, დედი, დედოფლას  
 სარეველიც უნდა განა;—

მაშ სად უნდა დავაწვინო  
 ის საწუალი გოგოცანა?..

ტანთ როს გავხდი, მოვასვენებ,  
 მოუუჯდები კურდით თანა,

უნდა კარვად შევასწავლო  
 ზღანრები და კამოცანა.

• მაშ მიუიდე იმისთანა,  
 თინამ ბურთზე რომ გასცვალა:  
 შავკურმანი, თმხუტუტა,  
 კოაწია და თვალმხეველან...

— კარგი, შეილო, ნუ მხწუხებ,  
 მაკ თვალებში გენაცვალე,  
 მე კეიფი იხეთ კარვს, რომ  
 არვის ჭეუვდეს იმის ცალი.

დარია ახვლედიანი.

## ქალაქელი პიონერის წერილები

წერილი მეორე.  
 დიღომში, გიგლას.

ქმანავო გიგლა!

მივიღე შენი მეორე წერილი, წაგვაკითხე ამხანაგებს და მეტად გაგვიხარდა.

უიხად, რომ რასმის შედგენა მოგისურსებია.

ახა, შენ იცი და შენმა კაცობამ,—არ დაძალო, ერთგულად მოექცე და უფრო გაამრავლე.

რაკი საქმე ასე კარგად წასულა, როგორც შენ იწერები, ესაა, მაშასადამე, უკვლავურს იმას მოგწერ, რაც კი ზიონურის ცხოვრებას და რასმის მოწუობას სჭირია.

უწირველესად, გიგლა, თქვენ უნდა იცოდეთ, თუ რისთვის გვქუიან ჩვენ ზიონურები.

იმიტომ, რომ ჩვენ ვიწუებთ ახალი ცხოვრების მოწუობას. ზიონური უცხო სიტუვია და დამწუებს, ზირველ მეთაურს ნიძნავს.

თქვენ იცით, ან გაგიგონიათ, უეჭველია, რომ დღეს მშრომელთა ძაღა-უფლებათა დამუარებული, რასაც საბჭოთა ხელისუფლება ჭქუიან. თქვენს სოფელშიც იქნება, უეჭველია, საბჭო, მშრომელი კლესებისაგან შემდგარი.

ჰო-და, ჩვენ, ზიონურებმა, მოძავალში დიდი საქმე უნდა გავაკეთოთ, გავამტკიცოთ მშრომელთა ძალა-უფლებს, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს ქვეყანაზე.

ამიტომ, ერთმანეთს რომ ვესაძლებით, მისაღებების ნიშანი ასეთია: მარჯვენა ხელი ძალდა უნდა აუწიოთ ეველს ხუთივე გაშლილი თითით. ეს იძახს ნიშნავს, რომ რაღაც ქვეყანა ხუთი ხმელეთისაგან შესდგება (ახია, ვეროზა, ავსტრალია, ამერიკა და აფრიკა) ჩვენი ხუთი თითივით,—ვეცდებით, რომ ეს ხუთივე ხმელეთი ისევე დაკავშირდეს და დაუახლოვდეს ერთმანეთს, როგორც ხუთი შიტეუჭული თითი. ვეცდებით ხუთივე ხმელეთზე ისეთივე წესწუობილებს დავამკვიდროთ, როგორც ჩვენშია—საბჭოთა ხელისუფლება.



აი, ამნაირია ჩვენი მისაღებების ნიშანი.

რაც ვერ გადავკო, გიგლა, ჩემს წერილში, ან მასწავლებელს ჰქვითს, ან ვინმე ნასწავლი იქნება თქვენს სოფელში. ისინი არ დაიშურებენ ორიოდე წუთს, რომ ეს აკისნან.

ამის გარდა, დაჭეადი რაზმი ჰატარა ნაწილებად; თითო ნაწილს რგოლი ეწოდება და დაუნებზე თვითუელს უფროსი.

თქვენ უნდა იკითხოთ, ისწავლოთ, იმიტომ რომ უსწავლელი კაცი ვერაფერს გააკეთებს ცსოფრებაში.

კიდე, აი, რა უნდა გააკეთოთ:

ეური უგდეთ, რომ თქვენს სოფელში ობოლი ბავშვები მოვლილი იყოს; ობოლ ბავშვებს კლესკომმა უნდა უშველოს. კლესკომი ნიშნავს კლესების კომიტეტს, რომელიც ეკლავფერში ენძარება ობლებს, ღარიბებს, ავადმყოფებს და, სხერთოდ, მსრომელ კლესებს.

თუ თქვენს სოფელში კლესკომი არ არის, მაშინ ადმანკომმა უნდა მოუძროს ობლებს და უნატროსო ბავშვებს. თქვენც დაეხმარეთ მათ, რაითაც კი შეიძლოთ, და შეძღვე ჩაწერეთ რაზმში.

ამას გარდა, იკითხეთ „წითელი სსივი“ და „ნაკადული“, იქ ამოიკითხავთ საჭირო ამბებს.

მიდი მასწავლებელთან, სოსოვე დახმარება. რაკი დრომა უხუქებია თქვენთვის, ეტობა, კეთილი ადამიანია და ბეერ რამეში დაეხმარებათ, დაგარიგებსთ კიდევ, წიგნებს წაკითხავსთ და უფრო კარგად მისვდებით, თუ რა დასჭირდება თქვენს რაზმს.

რაზმს სასელი უწოდეთ. აი, ჩვენს რაზმს „ლენინის რაზმი“ ჰქვია. გაგეონება, ლენინი მუშების მეთაური იყო, სულ მუშებსე და კლესებსე ფიქრობდა, ძალიან ნასწავლი კაცი იყო და მდიდრები ჭირივით ეჯავრებოდა.

მდიდრები სომ ღარიბებსა ჰეველებვენ, გივლა!

ლენინი ბელადი იყო დღევანდელი ხელისუფლებისა. მოკვდა ის, მაგრამ ცოდნა მიწაში არ ჩაუტანია. ბეერი თავისი ნა-



წერი წიგნი დატოვა, სადაც ბევრს რჩევას აძლევს მშრომელებს, თუ როგორ უნდა გამოაწიონ თავისი საქმე უკეთესად.

ეს წერილი, კიგლა, მე და ჩემმა ამხანაგებმა ერთად დავწერთ. კიდევ მოგწერთ და თქვენს სოფელშიაც ამოვალთ.

მანამდის კი ეცადე, საქმე კარგად დააყენო რაზმში.

კატოც მოგვივიტოვე, ამხანაგებიც, კეთილი მისწავლელებელიც კწერთნ დიტო და ამხანაგები.

დ. კარბელაშვილი.



## კურღლელს.

ღრიან რომ მოირბინე,  
 უურცქვიტო და ფეხცანცაღა,  
 გასაფხულის სახოვავკემ  
 მარტო შენთვის მოიცაღა?!

აქ ბევრი ჭეჯეს მოძლოდინე:  
 ნანო, ალექსი და კოლა,  
 ძალიან რომ ეჯავრებათ  
 მთქნარება და დიდსახს წოლა.

სულ მშრომელი ხალხი არის,  
 ბაღჩა-ბოსტანს უუურებენ,  
 სხვასავით არ მუქობობენ,  
 შენსავით არ უურუურებენ.

და თუ რაბე დავითეზავს,  
 ჯაფით ოფლი კიწურია,  
 შენც გამუთუნის, უმწკვლად,  
 რაც კი რაბე მიწურია.



და თუ ისე მოცანცაღდი,  
 ჰატევი სვე ლობიოსა,  
 ახლაჲ უნდა დაეკითხო  
 ბოსტნის უფროსს სოფიოსა.

ნებით ცოტა რამეს მოგკეძს;  
 თუ ინძარებ კურდღლურ ძაღლს,  
 გაუტყხავს ვერ კაიტან  
 კისერსა და თავის ქაღას.

აქ საერთო ნათესია,  
 შრომის ოფლმა შემოღობა;  
 მას ჰატრონობს ვეულა კაცი,  
 ჰელო არის და თუ კობა.

და თუ სხეების ნაბარ-ნათესს  
 შენ ხელს დარეკ, როგორც ძელა,  
 არ აცდება ხალხის რისხვა,  
 არ აცდება სასწიბობელა.

და ასეთი საქციელი  
 როდი ვანტა; ჩემო კარგო,  
 სახამ დაეცა ცხახუბდენ,  
 სჯობია, რომ აიბარგო!..

ზოი მღვიმელი.

## კური სე.

ცხელ ქვეუბებში იხრდება ძალიან დიდი სე, რომელსაც ზურის სე დაარქვენ. ფოთოლი დიდრონი და კუწუბიანი აქვს, ღეროსე და ტოტსე კი ჩნდება ნაუფი, თავისი სიდიდით და შესჯელობით ნესვის მსგავსი.

ცხელ ქვეუბებში ჩვენი ჭირნახული—ზური და ჭვაფი—არ იხრდება, იქაურებმა არც კი იციან მიწის მუშაობა. ზირ-

ველად რომ მივიდა იქ ხალხი ხვენი ქვეუნიებიდან, ძალიან გაკვირვებული იყო. ადგილობრივი მცხოვრებლებს საქანელი სულ არა ჰქვავდათ: არც ძროხა, არც თხა, არც ცხვარი. ძალიან მხელი იქნებოდა სიცოცხლე ამ ველურ, აზაფურის მცოდნე ხალხისთვის, ზურის ხე რომ არა ჰქონოდა. ზურის ხე ნაყოფს რვა თვის განმავლობაში იძლევა, და მერმე იძღვს, რომ წელიწადში ორი ხის ნაყოფი სრულიად საკმარისია კაცის გამოსაკვებად. თუ რომელიმე ადგილობრივმა მცხოვრებმა თავის სიცოცხლეში ათი ასეთი ხე დარგა, ის სრულიად უსურუნველოფილია მოთელი თავისი ოჯახით, და შიმშილით სიკვდილის აღარ ეძინა.



ზურის ხე ოთხმოც წლამდე სძლებს. მოუხარბავად მისი ნაყოფი არ იტყვა. ხიდან მოწვევტილ ნაყოფს ან ცხელ წყალში სღებენ, ან კიდევ გასურებულ ქვებზე და ისე სწვავენ, როგორც ხვენში კართოფილს. ქერქი სკდება და შიგ მოხანს თეთრი და მხატე გული; კემოთი მოხარბულ კართოფილითან შეერთებულ ზურის გულსა ჰგავს.

იმ დროისათვის, როცა ზურის სის ნაყოფი გამოიღებებოდა, ადგილობრივი მცხოვრებნი სავაო მარჯვს ამხადებენ. მწიფე ნაყოფს სწევიტავენ, ქერქს აცლიან, გულს ნაეავენ და ცომად წილავენ, ორძოს ამოთხრიან, ქვით ამოაშენებენ და ცომს შიკსდებენ. სვეიდან ამ ორძოს ფოთლებს და ქვებს აურიან. ორძოში ჩადებული ცომი იწუებს აფუეებს და მკაუდება. საჭირთებისდა გვარად ორძოს ხდიან, იღებენ, იმღენ ცომს, რამდენიც საჭმელად უნდათ ევერებს აკეთებენ, ფოთოლში ასევეენ და იქვე კახურებულ ქვებზე აცხობენ.

ზურის სის ღერისას სჭრიან ბოძებს, ფიცრებს და სხვა. სის სქელი და წებოვანი წვენის გამოეეება ისევე შეიძლება, როგორც ჩვენში ფისს ივენებენ. ნორში ქერქიდან ჭილობს ქსოვენ და ტანსაცმლისათვის გამოხადებენ ქსოვილსაც კი ანთავენ.

მაღლიერი ხალხის მიერ ზურის სის შესახებ შეთხუელია ასეთი წიგნარი: ამ დიდი ხნის წინეთ მთელ ქვეყანაში საშინელი სიმშილი ჩამოვარდა. ხალხი ბუხივით იყლიტებოდა. ბავშვები უდვდამოდ რჩებოდენ, დედები—უშვილოდ. იმ დროს ცხოვრობდა ქვეყნად ერთი უბედური კაცი. ცოლი მოჰკვდილოდა და წერილშვილი დარჩენოდა. საჭმელი არაფერი ჰქონდათ და შიმშილით იტანჯებოდენ. ერთხელ მოიხმო თავისი შვილები და ეველანი ერთად მთის მწვერვალზე აიუანა.

— ჩემო საუვარელო შვილებო—დაიწყო მან—მეტად შვირფასნი ხართ ჩემთვის და მხადა ვარ უკანასკნელ ვამბდე ვიმუშავო, ოღონდ კი მშიერნი არ მკუულებოდეთ. მხადა ვარ სიცოცხლეც შემოგწიროთ. სომ იცით, რომ ეკ ვერყა?

— ვიცით, მამა.

— ისევე გიუვარვართ, როგორც მე მიუვარხართ?

— გვიუვარხარ, მამა.

— მამ, თუ მართლად გიუვარვართ, უნდა შეასრულოთ ის თხოვნა და ბრძანება, რომელსაც ესლავე მოგცემთ.

— ბრძანე, მამა, სიტუვას კამლევთ, რომ ვეკლავფურს შე-  
ვასრულებთ. მამინ უბრძანა მამამ, დიდი ორმო ამოეთსანათ  
და შივ ჩაუძანათ, დილით კი ამჟ ადგილას მოსუდიევენ.

ძალიან შეწუხდენ შეიდეები ასეთი უცნაური თსოვნით,  
მკერამ უწნობა ვერ გაუბედეს და ცრემლის ღვრით შეასრუ-  
ლეს მშობლის ნაბრძანები.

მეორე დღეს საფლავზე რომ მივიდენ, ნახეს: მამის სსე-  
ული გადაქცეულიო უშველებელ სედ; ფესები—ფესებად, სე-  
ლებები— ტოტებად, თითები—ფოთლებად, თავი კი ნოეიერ  
და წვნით საუსე ნაყოფად; მათი მამა ჰურის სედ ქცეულიო  
და მას შემდეგ მოისნო ამ ქვეყანაში შიმშილი.

მ.—ანი.



## == ბ ა ვ უ თ ა

### შ ე ა ო ქ მ ე ა ლ ე ბ ა

#### თ ე ვ ზ ო მ ბ ა .

ვასომ დილით სასწავლებელში დაიგვიანა. სკოლაში რომ შევიდა,  
დარეკილი იყო. როდესაც სკოლის მასწავლებელი შეეკითხა:

— რათ დაიგვიანე, ვასო, სად იყავი?

ვასომ მორცხვად უპასუხა:

— მამა და ძია დილას თევზზე წავიდენ და მეც თან გამიყოლეს:  
წამოდი, ვასო, მოგვემარეო. მეც გამიხარდა და გავყევი მათ.

— მერე, როგორ დაიჭირეთ თევზი, ვასო?

— ძიამ დიდ მორევში დინამიტი ჩაავდო. დინამიტმა დაიგრიალა  
და მთელი თევზი, რაც მორევში იყო, ზევით ამოჰყარა—ზოგი მკედარი  
და ზოგიც დარეტანებული. მერე ძია და მამა მორევში შეტვიდენ  
და მკედარი თევზები მშრალზე ამოჰყარეს, მე კიდეც დიდ-დიდ თევზებს  
ტომარაში ვყრიდი.



— ვასო, იცი, რა არის დინამიტი? — შეეკითხა მასწავლებელმა მასწავლებელს.

— არა, — მიუგო ვასომ.

— მაშ, ყური დამიგდეთ ყველამ და მე ავიხსნით, — დაიწყო მასწავლებელმა. — დინამიტი ასაფეთქებელი მოწყობილებაა, და სადაც აფეთქდება, ყველაფერს ანგრევს და ჰკლავს. ერთი პატარა უბრალო თუთის ყუთია ოაზხუთხიანი, შიგ მოთავსებულია თოფის წამლის და სხვადასხვა ნივთიერებისაგან შემზადებული ცომი, რომელიც უცებ იფეთქებს. ამ ნივთიერებას შიგ პატრუქს უკეთებენ, ცეცხლს უკიდებენ და საჩქაროდ გადაისვრიან მორევში, რადგანაც კოტა რომ ხელში შეაჩეროთ, ხელშივე გასკდება და კაცს მოჰკლავს. მორევში რომ დაიგრიოლებს, წყალს, ქვიშას და თევზს მაღლა ისვრის. ამ ხმაზე თევზები იხოცებიან. დინამიტი ზოცავს როგორც დიდ თევზებს, ისე პატარებსაც. ამით ბევრი აკლდება, როგორც მათ, ისე მთელ ქვეყნიერებას, მაგრამ ეს სოფლის ხალხმა არ იცის. ბევრი ამნაირად თევზაობს. თქვენც ეს იცოდეთ, პატარებო, რომ ასე თევზაობა არ არის სასარგებლო, ის დამღუპველი არის ჩვენთვის. ეს კარგად დაიხსომეთ, და დინამიტით არასოდეს არ დახოცოთ თევზები.

ზ. ივრიხპირელი.

## გულკათილი გივი.

ზაფხულის მშვენიერი დღია არის. მზეს თუმცა ჯერ არ გაუფენია თავისი ცხოველყოფილი სხივები ზეიმით დაპვრალ არემარეში, მაგრამ მაინც აპირებს ამ სურვილის ასრულებას. ჯერჯერობით კი მტრედისფერად მოწმენდილი სივრცეები დიდა სიამაყით გამოიციკრებოდნენ. აგერ, სულ მოკლე ხნის შემდეგ ამოცურდა ვეებერთელა ცეცხლის ბურთი, რომელმაც სტუკოტა თავისი მძლავრი სხივები ყველ სულდგმულს და უხვი სიციხით ოფელში გასწურა მათი სხეული. მაგრამ არაუშავს რა ამ სიციხის მოქმედებას: დღეს კვირა დღეა. დღეს მხოლოდ სეირნობის დროა.

ჯერ მზე არც კი იყო ამოსული, რომ ქალაქის ქუჩები, გამზირები, სასაიამოვნოდ გააქრიალეს შეზოვეებმა. ამ კვირა დღეს ქუჩებში ხალხი მოძრაობს განუწყვეტლივ.

ცხადია, მუშაობისაგან დაღლილ-დატანჯულნი ეხლა სასეირნოდ გასვილან. მრავალი ეტლის ხმაურობა უერთდება ბუნების სიმზიარულეს. ერთი ქუჩის ბოლოში იჯდა კოტად მოხუცებული და მზიარული სახის კაცი, რომელსაც შორიდანვე ემჩნეოდა, რომ ორთავ თვალით უსინათლო იყო. მას ეჭოვა ხელში ერთი სრულიად უბრალო ხის სალამური, მაგრამ ისე აკვნებდა, რომ მახლოზღად მყოფ

მსმენელს კრემლი აღებოდა თვალზე. გამვლელ-გამომვლელნი, რა თქმა უნდა, აჯილდოვებდნენ მას ფულით. აგერ მას მიუახლოვდა 7—8 წლის პაწია გივი, რომელიც გამდელს სასიერნოდ მიჰყავდა. გვიმ დაინახა თუ არა მოხუცი, მაშინვე შესდგა მის წინ და დიდის განცვიფრებით დააკვირდა. გივი ძლიერ გულკეთილი ბავშვი იყო. მას შეეცოდა უსინათლო და, როდესაც მოაგონდა, რომ დედის გამოტანებული აბაჯი ჰქონდა ჯიბეში, მაშინვე ამოიღო და ჩაუღო მოწყვლებებისათვის გამოწეულ ხელში. შემდეგ გვიმ და გამდელმა გზა განაგრძეს. გამდელმა გივის უკმაყოფილო სიტყვებით მიმართა—რათ მიეციო, მაგრამ გულკეთილი გივი მას ყურადღებას არ აქცევდა. კარგახნის შემდეგ საღამომ მოატანა. მზემ თავისი ცხოველმყოფელი სხივები დასაფლეთის მხარეს ამოაფარა და დაჰქროლა არემარეში საამო ნიამმა, რომელსაც თითქოს სურდა შეტი სიღამაზე და მეტი სიხალისე მიეცა ბუნების სურათისთვის. როდესაც ჩვენი გულკეთილი გივი დაბრუნდა და დედ-მამას უამბო დაწვრილებით თავისი თავგადასავალი, დედამ გულში ჩაიკრა საყვარელი შვილი და სიხარულით აღტაცებულმა უთხრა: „ყოჩაღ, შვილო! ასე უნდა მოიქცე ყოველთვის და უნდა ეცადო, რომ არც ერთ კუთხეში არ იყოს შშივირი არსება“.

თებრონე ხარაშვილი.

## ჩვენი სიხუნია.

ოხ, რა კარგია ჩვენი ციკუნია, მხიარული და მოუსვენარი! დილიდან საღამომდის დაბტის...

როცა დაიღლებ, ღუმელის ქვეშ, ან ჩემ საწოლზე თბილად გორობს, და როცა გუნებებზე—პატარა შარკას ეთამაშება (ასე ჰქვია ჩვენ პატარა ძაღლს).

ჩვენი ციკუნია ლამაზიც არის, სულ თეთრია, თავი კი შავი აქვს, პატარა კუდიც შავი; ხან აქეთ და ხან იქით აქნევს პატარა კუდს.


მეც მიყვარს პატარა ციკუნია და, როგორც მინდა, ისე ვათამაშებ: ხან დავატარებ და ვუბრძანებ, ფეხები მალლა ასწიოს,—ისიც ასწევს. ხან ვეტყვი გადაგორდეს,—ამასაც მიიარულებს.

ბრჭყალები დიდრონი აქვს, მაგრამ მე არ მერჩის: ეტყობა, რომ მასაც ვუყვარვარ. საერთოდ ციკუნებს უყვართ ადამიანები, უფრო მეტად კი ბავშვები, ის, ვინც კი დაუყვავებს.

ციკუნებში იკვებებიან ხორციით, თევზებით და ყველა საჭმელბით, ჩიტებსაც ემეტებებიან. ვალერიანის წვეთებს ხომ, საცა კი ნახავენ, მოიტაცებენ და სულ გამოსკლიან.

ვენეკო.

ხის სიმაღლე რომ გავზომო, ასე უნდა მოაქცე: მიაქცეე ყურადღება მის ჩრდილს, რომლის გავზომვა იდეალი საქმეა; ამისათვის გავზომე მანძილი ჩრდილის წვერიდან ხის ღეროს შუაგულამდის, როგორც ნახატზეა ნაჩვენები; ვთქვათ, მიიღე 10 მეტრი. ეს დაიხსოვე, და ახლა იდეალე ჯოხი, რის სიგრძისაც გინდა, ვთქვათ, ორი მეტრის; ჩაურჭე ეს ჯოხი შევეულად მიწაში და ახლა მისი ჩრდილი გავზომე; ვთქვათ მიიღე 4 მეტრი



ამით თავდება ზომვა და ახლა ხელი მიჰყავი გამოანგარიშებას: გამრავლე ხის ჩრდილის სიგრძე ჯოხის სიგრძეზე და, რაც მიიღო, გაჰყავი ჯოხის ჩრდილის სიგრძეზე, ე. ი.  $(10 \times 2) : 4 = 5$  მეტრის.

ასევე გამოიანგარიშებ სხვა საგნის სიმაღლესაც.

ცხადია, რომ ჩრდილი დილა-საღამოს მეტი იქნება საგნის სიმაღლეზე და შუადღის საათებში კი ნაკლები. რათა, აბა, მოიფიქრე?

დ. კარბელი.

### ამოცანა.

მდინარის ნაპირას იმდენი კაცი სდგას, რამდენი წვეთი წყალიც არის მდინარეში. მათ სურთ ისე გადვიდნ მერე ნაპირას, რომ არც ზიდი და არც ნავი არ დასკორდეს. როგორ შეიძლება ეს?

### შენ მარტო ვერ გაიხდი ხალათს. (სახუმარო).

დაუდე იმხანაგ სანაძლეო, რომ ის მარტო ვერ გაიხდის ხალათს. ის, რასაკვირველია, დაგიმტკიცებს, რომ შესძლებს და დაიწყებს გახდას. მაშინ შენც დაიწყე ხალათის გახთა. მაშასადამე, მან მარტო ვერ შესძლო ხალათის გახდა.



ყოველთვიური საუმაწვილო დასურბათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ. „ნაკადული“ მე-XXII წ.

პოზრდილ. „წითელი სხივი“ წელ. მე-III.

ხელის მოწერა მიიღება წლით, და ნახევარი წლით.

გადაგზავნით	}	„ნაკადული“ — ერთი წლით—3 მ. 50 კ.
		ნახევარი წლით—2 მ.
		„წითელი სხივი“ — ერთი წლით—5 მ.
		ნახევარი წლით—3 მ.

ცალკე ნომერი	}	„ნაკადული“ 35 კპ.
		„წითელი სხივი“ 45 კპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „წითელი სხივის“ რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

